

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2015 წლის 3 აგვისტო

დ. ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე და მე-80 მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.107.016157) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) შემცირდეს:

ა.ა) 43,0 ათასი ლარით წინა წლებიდან გარდამავალი ნაშთი;

ა.ბ) 5,0 საკრებულოს საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი, კერძოდ საოფისე ავეჯი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 01);

ა.გ) 0,5 ათასი ლარით მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი, კერძოდ ტელევიზორის ხარჯი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 01);

ა.დ) 3,0 ათასი ლარით საკრებულოს სხვა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (01 01);

ა.ე) 4,0 ათასი ლარით გამგეობის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 02);

ა.ვ) 1,0 ათასი ლარით გამგეობის გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 02);

ა.ზ) 17,0 ათასი ლარით გამგეობის საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი, კერძოდ საოფისე ავეჯი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 02);

ა.თ) 2,0 ათასი ლარით გამგეობის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 02);

ა.ი) 5,0 ათასი ლარით გამგეობის სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 02);

ა.კ) 7,0 ათასი ლარით წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 02 03);

ა.ლ) 21,0 ათასი ლარით სკვერები და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 02 05);



ა.მ) 16,0 ათასი ლარით საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია „სხვა ხარჯების“ მუხლით (03 02 08);

ა.ნ) 7,0 ათასი ლარით სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, მოედნების რეკონსტრუქცია „სუბსიდიების მუხლით (03 02 03).

ბ) გადიდდეს:

ბ.ა) 8,8 ათასი ლარით საკრებულოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 01);

ბ.ბ) 3,0 ათასი ლარით საკრებულოს საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (01 01);

ბ.გ) 3,0 ათასი ლარით საკრებულოს კომპიუტერის შეძენა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (01 01);

ბ.დ) 2,0 ათასი ლარით გამგეობის სუბსიდია „სუბსიდიების“ მუხლით (01 02);

ბ.ე) 1,7 ათასი ლარით გამგეობის ტელევიზორის შეძენა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (01 02);

ბ.ვ) 3,0 ათასი ლარით გამგეობის კომპიუტერის შეძენა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (01 02);

ბ.ზ) 1,0 ათასი ლარით გამგეობის სხვა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (01 02);

ბ.თ) 2,5 ათასი ლარით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით (03 04);

ბ.ი) 0,5 ათასი ლარით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით „სხვა ხარჯების“ მუხლით (03 04);

ბ.კ) 90,0 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა „სუბსიდიების“ მუხლით (05 01 01);

ბ.ლ) 6,0 ათასი ლარით შეჭირვებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით (06 02 02 09);

ბ.მ) 10,0 ათასი ლარით სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით (06 02 02 10).

გ) დამტკიცდეს ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

გ.ა) ბიუჯეტის შემოსავლები – 8449,0 ათასი ლარით (აქედან, გადასახადები – 200,0 ათასი ლარი; გრანტები 7969,0 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები – 280,0 ათასი ლარი);

გ.ბ) ბიუჯეტის ხარჯები – 5347,4 ათასი ლარი (აქედან, შრომის ანაზღაურება – 1285,2 ათასი ლარით; გრანტები - 145,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება – 710,5 ათასი ლარით; სუბსიდიები – 2238,5 ათასი ლარით; სოციალური უზრუნველყოფა - 484,1 ათასი ლარით; სხვა ხარჯები – 484,1 ათასი ლარით);

გ.გ) საოპერაციო სალდო – 3101,6 ათასი ლარი;

გ.დ) არაფინანსური აქტივების ცვლილება – 4765,7 ათასი ლარი.

დ) დამტკიცდეს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

დ.ა) შემოსულობები – 8494,0 ათასი ლარი (აქედან, შემოსავლები – 8449,0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 45,0 ათასი ლარი);

დ.ბ) გადასახდელები – 10191,6 ათასი ლარი; (აქედან: ხარჯები – 5347,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 4810,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 33,5 ათასი ლარი);

დ.გ) ნაშთის ცვლილება - 1697,7 ათასი ლარი.



ე) ჩხოროწყუს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციით განისაზღვროს 10158,1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

ე.ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 1957,1 ათასი ლარით.

ე.ბ) თავდაცვა – 102,7 ათასი ლარით.

ე.გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 157,3 ათასი ლარით.

ე.დ) ეკონომიკური საქმიანობა - 3526,7 ათასი ლარით.

ე.ე) გარემოს დაცვა – 316,0 ათასი ლარით.

ე.ვ) საბინაო-კომუნალური მეურნეობა– 603,4 ათასი ლარით.

ე.ზ) ჯანმრთელობის დაცვა – 80.0 ათასი ლარით.

ე.თ) დასვენება, კულტურა და რელიგია – 953,5 ათასი ლარით.

ე.ი) განათლება – 1783,5 ათასი ლარით.

ე.კ) სოციალური დაცვა – 677,9 ათასი ლარით.

ვ) სულ ბიუჯეტი როგორც შემოსულობები, ისე გადასახდელები ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით განისაზღვროს 10191,6 ათასი ლარით.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

დანართი

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
თავი I**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7,891.9	4,010.3	3,881.6	7,189.6	2,309.7	4,879.9	8,449.0	3,542.8	4,906.2
გადასახადები	163.5	0.0	163.5	200.0	0.0	200.0	200.0	0.0	200.0
გრანტები	7,522.5	4,010.3	3,512.2	6,729.6	2,309.7	4,419.9	7,969.0	3,542.8	4,426.2
სხვა შემოსავლები	205.9	0.0	205.9	260.0	0.0	260.0	280.0	0.0	280.0



ხარჯები	3,966.4	277.9	3,688.5	4,991.6	299.8	4,691.8	5,347.4	451.4	4,896.0
შრომის ანაზღაურება	1,672.4	0.0	1,672.4	1,683.8	0.0	1,683.8	1,285.2	0.0	1,285.2
საქონელი და მომსახურება	499.2	0.0	499.2	876.5	0.0	876.5	710.5	0.0	710.5
სუბსიდიები	1,184.5	90.0	1,094.5	1,627.0	0.0	1,627.0	2,238.5	0.0	2,238.5
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	145.0	0.0	145.0
სოციალური უზრუნველყოფა	396.2	35.0	361.2	544.5	109.5	435.0	484.1	22.3	461.8
სხვა ხარჯები	214.1	152.9	61.2	259.8	190.3	69.5	484.1	429.1	55.0
საოპერაციო სალდო	3,925.5	3,732.4	193.1	2,198.0	2,009.9	188.1	3,101.6	3,091.4	10.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,725.3	3,567.8	157.5	2,237.9	2,026.0	211.9	4,765.7	4,543.3	222.4
ზრდა	3,731.0	3,567.8	163.2	2,237.9	2,026.0	211.9	4,810.7	4,543.3	267.4
კლება	5.7	0.0	5.7	0.0	0.0	0.0	45.0	0.0	45.0
მთლიანი სალდო	200.2	164.6	35.6	-39.9	-16.1	-23.8	-1,664.2	-1,452.0	-212.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	200.2	164.6	35.6	-39.9	-16.1	-23.8	-1,697.7	-1,452.0	-245.7
ზრდა	200.2	164.6	35.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	200.2	164.6	35.6	0.0			0.0		
კლება	0.0	0.0	0.0	39.9	16.1	23.8	1,697.7	1,452.0	245.7
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			39.9	16.1	23.8	1,697.7	1,452.0	245.7
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	33.5	0.0	33.5
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	33.5	0.0	33.5

მუხლი 2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	7,897.6	4,010.3	3,887.3	7,189.6	2,309.7	4,879.9	8,494.0	3,542.8	4,951.2
შემოსავლები	7,891.9	4,010.3	3,881.6	7,189.6	2,309.7	4,879.9	8,449.0	3,542.8	4,906.2
არაფინანსური აქტივების კლება	5.7	0.0	5.7	0.0	0.0	0.0	45.0	0.0	45.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	7,697.4	3,845.7	3,851.6	7,229.5	2,325.8	4,903.7	10,191.6	4,994.7	5,196.9
ხარჯები	3,966.4	277.9	3,688.5	4,991.6	299.8	4,691.8	5,347.4	451.4	4,896.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,731.0	3,567.8	163.2	2,237.9	2,026.0	211.9	4,810.7	4,543.3	267.4
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	33.5	0.0	33.5
ნაშთის ცვლილება	200.2	164.6	35.6	-39.9	-16.1	-23.8	-1697.7	-1452.0	-245.7

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8449.0 ათასი ლარით:

დასახელება	კოდი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1	7,891.9	4,010.3	3,881.6	7,189.6	2,309.7	4,879.9	8,449.0	3,542.8	4,906.2
გადასახადები	11	163.5	0.0	163.5	200.0	0.0	200.0	200.0	0.0	200.0
გრანტები	13	7,522.5	4,010.3	3,512.2	6,729.6	2,309.7	4,419.9	7,969.0	3,542.8	4,426.2
სხვა შემოსავლები	14	205.9	0.0	205.9	260.0	0.0	260.0	280.0	0.0	280.0

მუხლი 4. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 200.0 ათასი ლარის ოდენობით:



დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	163.5	0.0	163.5	200.0	0.0	200.0	200.0	0.0	200.0
ქონების გადასახადი	113	163.5	0.0	163.5	200.0	0.0	200.0	200.0	0.0	200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	134.1		134.1	150.0		150.0	120		120
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0.5	0.0	0.5	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	22.2	0.0	22.2	32.0	0.0	32.0	62.0	0.0	62.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	6.7	0.0	6.7	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0

მუხლი 5. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7969.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	7,522.5	4,010.3	3,512.2	6,729.6	2,309.7	4,419.9	7,969.0	3,542.8	4,426.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	27.1		27.1	0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	7,495.4	4,010.3	3,485.1	6,729.6	2,309.7	4,419.9	7,969.0	3,542.8	4,426.2
ბიუჯეტით გათვალისწინებული	1311	3,485.1	0.0	3,485.1	4,419.9	0.0	4,419.9	4,426.2	0.0	4,426.2



ტრანსფერები										
გათანაბრებითი ტრანსფერი		3,330.1		3,330.1	4,257.9		4,257.9	4,264.2		4,264.2
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		155.0		155.0	162.0		162.0	162.0		162.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	4,010.3	4,010.3	0.0	2,309.7	2,309.7	0.0	3,542.8	3,542.8	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		3,373.7	3,373.7		1,340.7	1,340.7		2,006.4	2,006.4	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		636.6	636.6		589.2	589.2		586.3	586.3	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი		0.0			379.8	379.8		950.0	950.0	

მუხლი 6. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 280.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	205.9	0.0	205.9	260.0	0.0	260.0	280.0	0.0	280.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	124.3	0.0	124.3	165.0	0.0	165.0	165.0	0.0	165.0
რენტა	1415	124.3	0.0	124.3	165.0	0.0	165.0	165.0	0.0	165.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	124.3		124.3	165.0		165.0	165.0		165.0
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	2.2	0.0	2.2	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	0.8	0.0	0.8	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	0.8		0.8	4.0		4.0	4.0		4.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	0.0			11.0		11.0	11.0		11.0



არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0.3		0.3	0.0			0.0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	1.1		1.1	0.0		0.0	0.0		
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	55.9		55.9	50.0		50.0	50.0		50.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	23.5		23.5	30.0		30.0	50.0		50.0
არაფინანსური აქტივების კლება	31	5.7	0.0	5.7	0.0	0.0	0.0	45.0	0.0	45.0
ძირითადი აქტივები	311	5.5		5.5	0.0		0.0	45.0		45.0
არაწარმოებული აქტივები	314	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიწა	3141	0.2		0.2	0.0		0.0	0.0		

მუხლი 7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5347.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული

დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,697.4	3,845.7	3,851.6	7,229.5	2,325.8	4,903.7	10,191.6	4,994.7	5,196.9
მომუშავეთა რიცხოვნობა	563.0	0.0	563.0	216.0	0.0	216.0	133.0	0.0	133.0
ხარჯები	3,966.4	277.9	3,688.5	4,991.6	299.8	4,691.8	5,347.4	451.4	4,896.0
შრომის ანაზღაურება	1,672.4	0.0	1,672.4	1,683.8	0.0	1,683.8	1,285.2	0.0	1,285.2
საქონელი და მომსახურება	499.2	0.0	499.2	876.5	0.0	876.5	710.5	0.0	710.5
სუბსიდიები	1,184.5	90.0	1,094.5	1,627.0	0.0	1,627.0	2,238.5	0.0	2,238.5
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	145.0	0.0	145.0
სოციალური უზრუნველყოფა	396.2	35.0	361.2	544.5	109.5	435.0	484.1	22.3	461.8
სხვა ხარჯები	214.1	152.9	61.2	259.8	190.3	69.5	484.1	429.1	55.0



მუხლი 8. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4765.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4810.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,697.4	3,845.7	3,851.6	7,229.5	2,325.8	4,903.7	10,191.6	4,994.7	5,196.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,731.0	3,567.8	163.2	2,237.9	2,026.0	211.9	4,810.7	4,543.3	267.4
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,856.2	0.0	1,856.2	2,140.1	0.0	2,140.1	1,978.1	0.0	1,978.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	95.3	0.0	95.3	93.9	0.0	93.9	173.4	0.0	173.4
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	447.2	0.0	447.2	522.0	0.0	522.0	524.6	0.0	524.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.9	0.0	3.9	10.1	0.0	10.1	5.0	0.0	5.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,409.0	0.0	1,409.0	1,546.6	0.0	1,546.6	1,372.5	0.0	1,372.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	91.4	0.0	91.4	83.8	0.0	83.8	168.4	0.0	168.4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	357.6	0.0	357.6	402.1	0.0	402.1	260.0	0.0	260.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.9	0.0	14.9	7.0	0.0	7.0	2.0	0.0	2.0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	269.5	0.0	269.5	290.0	0.0	290.0	157.3	0.0	157.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.9	0.0	14.9	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
	ქვეყნის									



02 03	თავდაცვისუნარიანობის ამაღლებების ხელშეწყობა	88.1	0.0	88.1	112.1	0.0	112.1	102.7	0.0	102.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	6.0	0.0	6.0	2.0	0.0	2.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,089.6	3,720.7	368.9	2,338.3	1,716.8	621.5	4,446.1	3,847.1	599.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,602.2	3,567.8	34.4	1,580.5	1,526.5	54.0	3,679.8	3,617.8	62.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	1,033.3	1,028.9	4.4	412.3	342.3	70.0	1,883.6	1,773.6	110.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,033.3	1,028.9	4.4	342.3	342.3	0.0	1,773.6	1,773.6	0.0
03 01 01	მუნიციპალიტეტის გზების მოწყობა რეაბილიტაცია	375.2	370.8	4.4	144.1	94.1	50.0	1,647.8	1,567.8	80.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	375.2	370.8	4.4	94.1	94.1	0.0	1,567.8	1,567.8	0.0
03 01 02	სახიდე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია	658.1	658.1	0.0	268.2	248.2	20.0	235.8	205.8	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	658.1	658.1	0.0	248.2	248.2	0.0	205.8	205.8	0.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	646.7	282.3	364.4	1,118.6	637.1	481.5	919.4	448.4	471.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	312.3	282.3	30.0	662.9	618.9	44.0	500.4	448.4	52.0
03 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	187.9	92.5	95.4	125.0	0.0	125.0	225.0	100.0	125.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	92.5	92.5	0.0	0.0	0.0	0.0	100.0	100.0	0.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	209.6	189.8	19.8	482.0	434.5	47.5	330.4	282.4	48.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	193.5	189.8	3.7	454.5	434.5	20.0	305.4	282.4	23.0
03 02 04	ტროტუარებისა და გაზონების მოწყობა-რეაბილიტაცია	26.3	0.0	26.3	35.9	11.9	24.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	26.3	0.0	26.3	35.9	11.9	24.0	0.0	0.0	0.0
03 02 05	დ. ჩხორწყლს ობელისკის რეაბილიტაცია. სკვერისა და პარკის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	0.0	0.0	0.0	141.9	141.9	0.0	19.0	0.0	19.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	141.9	141.9	0.0	19.0	0.0	19.0
03 02 07	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების და სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია	29.5	0.0	29.5	48.2	18.2	30.0	10.0	0.0	10.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
03 02 09	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0.0	0.0	0.0	30.6	30.6	0.0	66.0	66.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	30.6	30.6	0.0	66.0	66.0	0.0
03 03	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1,766.3	1,766.3	0.0	112.3	112.3	0.0	972.6	972.6	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,766.3	1,766.3	0.0	112.3	112.3	0.0	972.6	972.6	0.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	612.6	612.6	0.0	613.0	613.0	0.0	616.6	616.6	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	459.7	459.7	0.0	440.9	440.9	0.0	387.3	387.3	0.0
03 05	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთააღირცხვო დოკუმენტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები	30.7	30.7	0.0	22.1	12.1	10.0	45.9	35.9	10.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	30.7	30.7	0.0	22.1	12.1	10.0	45.9	35.9	10.0
04 00	განათლება	500.6	90.0	410.6	1,229.0	499.5	729.5	1,783.5	881.5	902.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	551.5	499.5	52.0	881.5	881.5	0.0
04 01	სკოლამდელი განათლება	436.5	90.0	346.5	1,156.5	499.5	657.0	1,671.5	881.5	790.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	551.5	499.5	52.0	881.5	881.5	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	498.3	0.0	498.3	609.5	0.0	609.5	953.5	44.0	909.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.5	0.0	18.5	5.0	0.0	5.0	74.0	44.0	30.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	214.9	0.0	214.9	266.0	0.0	266.0	454.5	0.0	454.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.5	0.0	18.5	5.0	0.0	5.0	30.0	0.0	30.0



05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება. მოედნების რეკონსტრუქცია	95.8	0.0	95.8	96.0	0.0	96.0	149.5	0.0	149.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.5	0.0	18.5	5.0	0.0	5.0	30.0	0.0	30.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	266.5	0.0	266.5	331.5	0.0	331.5	444.0	44.0	400.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	44.0	44.0	0.0
05 02 02	მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა	38.8	0.0	38.8	50.0	0.0	50.0	111.0	44.0	67.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	44.0	44.0	0.0

მუხლი 9. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

ა) განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 33.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7,697.4	3,845.7	3,851.6	7,229.5	2,325.8	4,903.7	10,148.6	4,991.3	5,157.3
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	33.5	0.0	33.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,856.2	0.0	1,856.2	2,140.1	0.0	2,140.1	1,993.5	0.0	1,993.5
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	21.0	0.0	21.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,409.0	0.0	1,409.0	1,546.6	0.0	1,546.6	1,394.2	0.0	1,394.2
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0



	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	215.4	0.0	215.4	266.0	0.0	266.0	369.3	0.0	369.3
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	12.5	0.0	12.5
06 02 02 10	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	87.5	0.0	87.5
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	12.5	0.0	12.5

მუხლი 10. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,856.2	0.0	1,856.2	2,140.1	0.0	2,140.1	1,957.1	0.0	1,957.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,856.2	0.0	1,856.2	2,140.1	0.0	2,140.1	1,957.1	0.0	1,957.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,856.2	0.0	1,856.2	2,068.6	0.0	2,068.6	1,877.1	0.0	1,877.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	71.5	0.0	71.5	80.0	0.0	80.0
702	თავდაცვა	88.1	0.0	88.1	112.1	0.0	112.1	102.7	0.0	102.7



703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	269.5	0.0	269.5	290.0	0.0	290.0	157.3	0.0	157.3
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	269.5	0.0	269.5	290.0	0.0	290.0	157.3	0.0	157.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,469.2	3,438.4	30.7	1,225.6	1,091.6	134.0	3,526.7	3,398.7	128.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2,409.6	2,409.6	0.0	777.4	737.4	40.0	1,643.1	1,625.1	18.0
70421	სოფლის მეურნეობა	2,409.6	2,409.6	0.0	777.4	737.4	40.0	1,643.1	1,625.1	18.0
7045	ტრანსპორტი	1,033.3	1,028.9	4.4	412.3	342.3	70.0	1,883.6	1,773.6	110.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,033.3	1,028.9	4.4	412.3	342.3	70.0	1,883.6	1,773.6	110.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	26.3	0.0	26.3	35.9	11.9	24.0	0.0	0.0	0.0
705	გარემოს დაცვა	183.7	0.0	183.7	250.6	30.6	220.0	316.0	66.0	250.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	183.7	0.0	183.7	220.0	0.0	220.0	250.0	0.0	250.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	0.0	0.0	30.6	30.6	0.0	66.0	66.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	436.8	282.3	154.5	832.1	594.6	237.5	603.4	382.4	221.0
7063	წყალმომარაგება	209.6	189.8	19.8	482.0	434.5	47.5	330.4	282.4	48.0
7064	გარე განათება	187.9	92.5	95.4	125.0	0.0	125.0	225.0	100.0	125.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	39.3	0.0	39.3	225.1	160.1	65.0	48.0	0.0	48.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	67.0	0.0	67.0	75.0	0.0	75.0	80.0	0.0	80.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	67.0	0.0	67.0	75.0	0.0	75.0	80.0	0.0	80.0



708	დასვენება, კულტურა და რელიგია	498.3	0.0	498.3	609.5	0.0	609.5	953.5	44.0	909.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	214.9	0.0	214.9	266.0	0.0	266.0	454.5	0.0	454.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	266.5	0.0	266.5	331.5	0.0	331.5	444.0	44.0	400.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	16.9	0.0	16.9	12.0	0.0	12.0	55.0	0.0	55.0
709	განათლება	500.6	90.0	410.6	1,229.0	499.5	729.5	1,783.5	881.5	902.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	436.5	90.0	346.5	1,156.5	499.5	657.0	1,671.5	881.5	790.0
7092	ზოგადი განათლება	14.9	0.0	14.9	15.0	0.0	15.0	30.0	0.0	30.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	14.9	0.0	14.9	15.0	0.0	15.0	30.0	0.0	30.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	49.2	0.0	49.2	57.5	0.0	57.5	82.0	0.0	82.0
710	სოციალური დაცვა	328.2	35.0	293.2	465.5	109.5	356.0	677.9	222.1	455.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	277.4	35.0	242.4	425.5	109.5	316.0	644.9	222.1	422.8
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	48.0	0.0	48.0	34.0	0.0	34.0	27.0	0.0	27.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2.8	0.0	2.8	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	სულ	7,697.4	3,845.7	3,851.6	7,229.5	2,325.8	4,903.7	10,158.1	4,994.7	5,163.4

მუხლი 11. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1653.7 ათასი ლარის ოდენობით.



მუხლი 12. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1, განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1654.7 ათასი ლარის ოდენობით.

2, განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1654.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -33.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 15. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 162.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 72.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85.5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 4.5 ათასი ლარი;

2, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 16. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის,

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

მუხლი 17. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება.



ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროგნოზი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	260.0	117.7	123.6	129.8
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	157.3	0.0	0.0	0.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	102.7	117.7	123.6	129.8

ა) პროგრამა საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა არსებული ტექნიკური ბაზის განახლება და საჭირო სამაშველო და სახანძრო ტექნიკის აღჭურვილობის შეძენა, მეხანძრე-მაშველთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების ლოკალიზაცია და მათი შედეგების ლიკვიდაცია. ზარალის მინიმიზაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამომახების რაოდენობა. დროულად ლოკალიზებული და ლიკვიდირებული შემთხვევების რაოდენობა.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაწვეულთა რაოდენობა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პროგრამების ფარგლებში გაგრძელდება დაბა ჩხოროწყუს საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროგნოზი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4466.0	595.5	636.0	676.5



03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1883.6	115.0	125.0	135.0
03 01 01	გზების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1647.8	80.0	85.0	90.0
03 01 02	სახიდე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია	235.8	35.0	40.0	45.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	963.4	460.5	481.0	501.5
03 02 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	225.0	130.0	135.0	140.0
03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	250.0	260.0	270.0	280.0
03 02 03	წყლის სისტემების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	337.4	65.0	70.0	75.0
03 02 05	სკვერებისა და პარკების მოწყობა	40.0	12.0	14.0	16.0
03 02 06	უმეტავალყურად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	5.0	5.5	6.0	6.5
03 02 07	არა საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	10.0	15.0	18.0	21.0
03 02 08	საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	30.0	40.0	60.0	80.0
03 02 09	სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	66.0	7,0	9,0	11,0
03 03	ნაპირსამაგრი ჯგებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	972.2	500,0	600,0	700,0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	592.9	0,0	0,0	0,0
03 05	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები	45.9	20.0	30.0	40.0
03 07	სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა	8,0	10,0	12,0	14,0

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შიდა გზებისა და სახიდე ნაგებობების დაზიანებული მონაკვეთების მიმდინარე მოწყობა-რეაბილიტაცია, როგორც დაბაში ისე სოფლებში და თემებში.

ა.ა) გზების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

მუნიციპალიტეტის შიდა გზების აღდგენა, მოწყობა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების რაოდენობის ზრდა.

ა.ბ) სახიდე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

დაზიანებული ხიდების, ხიდ-ბოგირების, საცალფეხო ხიდების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში.



მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული სახიდე ნაგებობების რაოდენობის ზრდა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება დ. ჩხოროწყუში დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების ზრდა.

ბ.ბ) დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა ჩხოროწყუში ქუჩების ყოველდღიური, სოფლების მუხურის, ხაბუმეს, ქვედა ჩხოროწყუს, ლესიჭინეს ცენტრების პერიოდული დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაბის, სოფლებში მუხურის, ხაბუმემ, ქვედა ჩხოროწყუსა და ლესიჭინეს ტერიტორიაზე გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გატანილი ნარჩენების რაოდენობა.

ბ.გ) წყლის სისტემის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

სასმელი წყლის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს წყლის სისტემის მოწესრიგებას, მის დაცულობას. მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის, ბაქტერიებისაგან გაწმენდილი წყლის მიწოდებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობაზე წყლის მიწოდების ზრდა.

ბ.დ) სკვერისა და პარკის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაბა ჩხოროწყუში ცენტრალურ პარკში მოეწყობა საბავშვო ატრაქციონი, კულტურის სარაიონო სახლის გვერდით მოეწყობა ახალი სკვერი და აშენდება ჩოგბურთის კორტი.

მოსალოდნელი შედეგები:

- კეთილმოწყობილი დაბა ჩხოროწყუს ცენტრი

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ობიექტების რაოდენობა.

ბ.ე) უმეტველყუროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება.

ბ.ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების და სხვა არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტუალური პრობლემების მოგვარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა.

ბ.ზ) მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

ხშირად დგება დღის წესრიგში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა.

გ) სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სოფლებში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასწვრივ ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. ნაფიჩხოვოს თემში წინა წლიდან დარდამავალი სამუშაოების შესრულება.

მოსალოდნელი შედეგები:

- წყალდიდობისგან ზარალის თავიდან აცილება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოწყობილი ობიექტების რაოდენობა.

დ) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები. (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე ზედამხედველობას, უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატაციაში შესული ობიექტების რაოდენობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

